ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 12-37

“13” მაისი 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი”- ს ჩატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი”- ს ჩატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-41 დადგენილებაში (ვებგვერდი სსმ. 13/05/2015; სარეგისტრაციო კოდი 450050000.35.101.016158) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კონკურსის ჩატარებამდე, ყოველწლიურად შედგეს შესაბამისი ჟიური 7 (შვიდი) წევრის შემადგენლობით. ჟიურის უფლებამოსილება შეუწყდება ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის „თბილისის” დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ. “

ბ) ამოღებულ იქნეს მე-3 პუნქტი;

გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. კონკურსის ნომინაციებია:

- წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები;
- წლის საუკეთესო პოეტური ნაწარმოები;
- წლის საუკეთესო ესსე (სკოლის მოსწავლეთათვის);
- წლის საუკეთესო სიმღერა;
- წლის საუკეთესო ფერწერული ნაწარმოები;

· წლის საუკეთესო ქანდაკება;

· წლის საუკეთესო ფოტოხელოვნების ნაწარმოები;

· წლის საუკეთესო არქიტექტურული ნაწარმოები;

· ჟიურის სპეციალური პრიზი.“

დ) მე-10 და მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის ,,თბილისი“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართოს ყოველი წლის ოქტომბრის თვეში, თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში.

11. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა კონკურსის ჩატარებისათვის უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისად ყველა საჭირო ღონისძიების გატარება.

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - ,,თბილისი"- ს ჩატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის შემუშავების მიზეზი:

წარმოდგენილი პროექტის შემუშავების მიზეზია ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - ,,თბილისი'' ჩატარების პროცედურებისა და ორგანიზაციული საკითხების ცვლილებები, კერძოდ:

- კონკურსის ერთ-ერთი ნომინაცია - წლის საუკეთესო ესსე ,,ჩემი თბილისი'' სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის ხდება ზოგადი ხასიათის და განისაზღვრება შემდეგი ფორმულირებით - „წლის საუკეთესო ესსე - სკოლის მოსწავლეთათვის''.
- უქმდება წესი, რომლის მიხედვითაც, კონკურსის ჟიურის წევრების კანდიდატურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად ყოველწლიურად წარუდგენდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია. შესაბამისად, იცვლება ჟიურის წევრებისათვის ხელშეკრულების გაფორმებისა და ანაზღაურების წესი.

ბ) პროექტის მიზანი:

წარმოდგენილი პროექტის მიზანია ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - ,,თბილისი'' ჩატარების პროცედურებისა და ორგანიზაციული საკითხების დახვეწა.

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

წარმოდგენილი პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თამარ ტალიაშვილი

პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თამარ ტალიაშვილი